# 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე **პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამების** გენდერული ანალიზი



ავტორი: ბაია პატარაია

საფარი 2024

## შინაარსი


შესავალი.....1

პარტია „გახარია საქართველოსთვის“ - 2024 წლის საარჩევნო პროგრამა „ღირსეული ცხოვრების მანიფესტი“: გენდერული ანალიზი .....2

კოალიცია „ძლიერი საქართველო“ - 2024 წლის საარჩევნო პროგრამა „ილიას გზით, მარშალის გეგმით“: გენდერული ანალიზი .....6

პარტია „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა“ -2024 წლის საარჩევნო პროგრამა „საქართველოს ერთიანობის ხუთპუნქტიანი გეგმა“: გენდერული ანალიზი .....9

პარტია „კოალიცია ცვლილებებისთვის“ -2024 წლის საარჩევნო პროგრამა „მომავალი შენია“: გენდერული ანალიზი .....11

დასკვნა .....12


# შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი მიზნად ისახავს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პარტიების საარჩევნო პროგრამების გენდერულ ანალიზს. საზოგადოებისათვის, განსაკუთრებით კი ამომრჩეველი ქალებისათვის, საინტერესოა თუ რას პირდებიან მათ პარტიები. ჩვენი, როგორც ქალთა ორგანიზაციის, მიზანია, ქალები იყვნენ უფრო ინფორმირებულები, როგორც ამომრჩევლები. ამომრჩეველი ქალები, როგორც უმრავლესობა, უნდა ხელმძღვანელობდეს საკუთარი ინტერესებით არჩევანის გაკეთების დროს, რათა მათ მოახდინონ გავლენა პოლიტიკაზე. ქალთა ინფორმირებულობის გასაზრდელად მნიშვნელოვანია, ისინი იცნობდნენ საარჩევნო პროგრამებს, თუმცა, მათ მნიშვნელოვნად წაადგებათ ამ პროგრამების გენდერული ანალიზი.

საარჩევნო პროგრამების გენდერული ანალიზი ასევე საინტერესოა არა მხოლოდ ქალი ამომრჩევლებისთვის, არამედ თავად პარტიებისთვისაც და გენდერის

ექსპერტებისათვის. საარჩევნო პროგრამების გენდერული ანალიზი პერიოდულად უკეთებიათ სხვადასხვა გენდერის მკვლევრებს, მაგრამ ამას სისტემატური ხასიათი არ აქვს. „საფარს“ მნიშვნელოვნად მიაჩნია პარტიების საარჩევნო პროგრამების გენდერული ანალიზის ტრადიციის დამკვიდრება და მისი შინაარსის აქტიური კომუნიკაცია საზოგადოებაში. აღნიშნულ ანალიზზე დაყრდნობით „საფარმა“ არჩევნებამდე აწარმოა ასეთი კამპანია, რომელიც ხელმისაწვდომია „საფარის“ ფეისბუქ გვერდზე.

წინამდებარი ანალიზისთვის შეირჩა ის პარტიები და კოალიციები, რომლებსაც წინასწარი კვლევებით ჰქონდათ ბარიერის გადალახვის ალბათობა. შესაბამისად, შემდეგი კოალიციების საარჩევო პროგრამები გაანალიზდა: კოალიცია „ცვლილებისთვის” - შემავალი პარტიები: „ახალი” , „გირჩი – მეტი თავისუფლება”, და „დროა”; კოალიცია „ერთიანობა” - შემავალი პარტიები: „ნაციონალური მოძრაობა”, „სტრატეგია აღმაშენებელი”, და „ევროპული საქართველო”; კოალიცია „ძლიერი საქართველო” - შემავალი პარტიები: „ლელო”, „ხალხისთვის”, „მოქალაქეები”, და „თავისუფლების მოედანი”; პარტია „გახარია საქართველოსთვის” არჩევნებში მონაწილეობდა დამოუკიდებლად. რაც შეეხება პარტია “ქართული ოცნებას”, მათი საარჩევნო პროგრამა არც მათ საიტზე მოიძებნა და არც ინდივიდუალურად თხოვნის შემდეგ გამოგვიგზავნეს. პარტიების საარჩევნო პროგრამები 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის შევაგროვეთ ოქტომბერში. ,,ლელოსა'' და ''გახარია საქართველოსთვის'' პარტიების საარჩევნო პროგრამები მათ ვებსაიტებზე იყო ხელმისაწვდომი, ხოლო დანარჩენ მსხვილ პარტიებს საფარი ინდივიდუალურად დაუკავშირდა და მათგან გამოითხოვა. ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა'' და ''ახალის'' საზოგადოებასთან კომუნიკაციების მენეჯერებმა პროგრამა მოგვაწოდეს იმავე სამუშაო კვირაში.

წინამდებარე დოკუმენტში სათითაოდ განხილულია აღნიშნული პარტიების საარჩევნო პროგრამები და ბოლოს წარმოდგენილია დასკვნა.

## პარტია „გახარია საქართველოსთვის“ - 2024 წლის საარჩევნო პროგრამა „ღირსეული ცხოვრების მანიფესტი“: გენდერული ანალიზი

,,გახარია საქართველოსთვის'' საარჩევნო პროგრამა არის ყველაზე ვრცელი პროგრამა სხვა პარტიებთან შედარებით. პროგრამა შედგება 29 გვერდისგან, რამდენიმე თავისგან და აქვს 4 გვერდიანი დანართი, რომელიც უშუალოდ ეხება

ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას. პროგრამის პრეამბულაში აღნიშნულია, რომ პარტია არის სოციალ-დემოკრატიული და ეფუძნება, მათ შორის, თანასწორობის იდეას. პარტიის მიზანია ააშენოს სოციალური სახელმწიფო, როგორც სოციალური კეთილდღეობის და სოციალური სამართლიანობის მოდელი, რომელიც მიზნად ისახავს შევიწროვებისგან, დისკრიმინაციისგან თავისუფალი, თანასწორი შესაძლებლობების გარემოს შექმნას. პროგრამა საუბრობს მრავალფეროვნებაზე და განსხვავებულობას მიიჩნევს უპირატესობად. პროგრამა ხაზს უსვამს ევროკავშირში გაწევრიანების მიზანს.

პროგრამა მნიშვნელობას ანიჭებს მდგრად და ინკლუზიურ ეკონომიკურ განვითარებას და კეთილდღეობის სახელმწიფოს. მათ შორის, გამოყოფს ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას, როგორც უთანასწორო გარემოს შეცვლისთვის აუცილებელ კომპონენტს, რათა, ,,სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილმა ქალებმა შეძლონ საკუთარი უფლებების უკეთესად დაცვა და საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალური რეალიზება. ეს საშუალებას მისცემს მათ, თავად გადაწყვიტონ საკუთარი პირადი ცხოვრებისა თუ პროფესიული განვითარების გზა.“ [1]

როგორც აღვნიშნეთ, პროგრამას აქვს დანართი ქალთა ეკონომიკური გაძლიერების შესახებ, სადაც ნათქვამია, რომ ,,პარტია „გახარია საქართველოსთვის“ მხარს უჭერს ქალთა ეკონომიკური და პოლიტიკური გაძლიერების საკითხებს, ქალთა მიმართ ძალადობის ნებისიმერი, მათ შორის, ეკონომიკური ძალადობის შემცირებასა და, რა თქმა უნდა, ფემიციდთან ბრძოლის პრიორიტეტულობას. ‘’ [2]

დანართი საუბრობს ქართული ოცნების მიერ 2024 წელს გაუქმებულ გენდერულ კვოტებზე და უარყოფითად აფასებს მას. ამასთან, პარტია მნიშვნელობას ანიჭებს გენდერული ბიუჯეტირების პრინციპის დაგეგმვას თვითმმართველობებში. იქვე აღნიშნულია, რომ გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო და ადგილობრივი გენდერული საბჭოები ვერ ფუნქციონირებენ ეფექტურად არასათანადო პოლიტიკური მხარდაჭერის გამო.

დანართში საბაზისო ინფრასტრუქტურაზე ქალების წვდომა მონიშნულია გამოწვევად, მათ შორის დაკონკრეტებულია ჯანდაცვის საგანმანათლებლო და სატრანსპორტო პრობლემები, განსაკუთრებით რეგიონებში. აღნიშნული პრობლემები ასევე ხელმიუწვდომელს ხდის პროფესიული განათლების

[1] პარტია „გახარია საქართველოსთვის“. (2024). საარჩევნო პროგრამა „ღირსეული ცხოვრების მანიფესტი“ (გვ. 5).
[2] პარტია „გახარია საქართველოსთვის“. (2024). საარჩევნო პროგრამა „ღირსეული ცხოვრების მანიფესტი“: დანართი ქალთა ეკონომიკური გაძლიერების შესახებ (გვ. 1).

სერვისებს. დანართი გვთავაზობს პარტიის მიერ დაგეგმილი ნაბიჯების 14 პუნქტიან ნუსხას: [3]

1. რეგიონში მცხოვრები ქალებისთვის პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის ზრდა, მათ შორის, პროგრამაზე დაშვების კრიტერიუმების გათვალისწინებით;
2. დასაქმების ხელშეწყობა და უნარების განვითარება, მათ შორის, დეკრეტულ შვებულებაში მყოფი ქალებისათვის;
3. სასტიპენდიო სისტემის დანერგვა სტუდენტი ქალებისათვის რეგიონებში;
4. მუნიციპალიტეტებში არსებული ქალთა ოთახების მოწყობა საგანმანათლებლო რესურსცენტრების ინფრასტრუქტურით;
5. მინიმალური ანაზღაურების განსაზღვრა;
6. დეკრეტული შვებულების კომპენსაციის ზრდა;
7. მუნიციპალიტეტებში გენდერული ბიუჯეტირების ამოქმედება;
8. მეწარმე ქალების ხელშეწყობა საკანონმდებლო გარანტიების გზით;
9. ქალ მეწარმეთა მხარდაჭერა, მათ შორის, ბიზნესის კეთების უნარების ხელშეწყობა და კომპეტენციების ამაღლება;
10. გენდერული აუდიტის დანერგვა ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამებში;
11. ქალთა სამუშაო პირობების გაუმჯობესება, მათ შორის, თანაბარი სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურების დანერგვით;
12. სახელმწიფოს საკრედიტო-საგრანტო დაფინანსების სქემების გაფართოება;
13. მარტოხელა მშობლის მხარდამჭერი სისტემის შექმნა, მათ შორის, საგადასახადო შეღავათების გაუმჯობესება და თვითმმართველობებში სპეციალური ფონდის ჩამოყალიბება;
14. ქალთა მიმართ ეკონომიკური ძალადობის პრევენციის, გამოვლენის და აღკვეთის გაუმჯობესება.[4]

პროგრამის მეექვსე თავი ეთმობა თანასწორობას და ძალადობისაგან დაცვის პოლიტიკას. აღნიშნულ თავში წერია, რომ პარტია გააგრძელებს ბრძოლას ბავშვების, ქალებისა და ხანდაზმულების ძალადობისაგან დასაცავად და ცალკე გამოყოფს სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას; სასჯელის გამკაცრებას და სექსუალური მოძალადეების ბაზის შექმნას. ერთ-ერთ პრიორიტეტად კი გამოყოფს ბავშვთა პორნოგრაფიის და პირადი ცხოვრების ხელყოფის წინააღმდეგ ბრძოლას. პროგრამა ასევე საუბრობს ფემიციდთან შეურიგებელ ბრძოლაზე, ფემიციდის წინააღმდეგ გასატარებელ ღონისძიებებზე, ახალ მექანიზმებზე და

[3] პარტია „გახარია საქართველოსთვის“. (2024). საარჩევნო პროგრამა „ღირსეული ცხოვრების მანიფესტი“: დანართი ქალთა ეკონომიკური გაძლიერების შესახებ (გვ. 1).
[4] იგივე, (გვ. 1-4).

ქმედით კოორდინაციაზე პასუხისმგებელ უწყებებს შორის. პარტიას მიაჩნია, რომ ძალადობის პრევენციაში აქტიურად უნდა ჩაერთოს განათლების სამინისტრო, სოციალური სამსახური და სხვა პასუხისმგებელი უწყებები. პროგრამა ასევე მოიაზრებს სოციალური მუშაკების რაოდენობისა და მათთვის ანაზღაურების ზრდას. [5]

პროგრამა საუბრობს კეთილდღეობის სახელმწიფოზე და სოციალურ პოლიტიკაზე. პროგრამა აღნიშნავს, რომ სოციალური პოლიტიკის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ქალთა სოციალურ დაცვასა და გაძლიერებას. სოციალურ პოლიტიკაში გამოყოფილია 4 ძირითადი მიმართულება: 1. სოციალური დაზღვევის სისტემა, სადაც მოიაზრება საყოველთაო ჯანდაცვა, ღირსეული პენსია, დამოუკიდებელი ცხოვრება, უმუშევრობის და საწარმოო ტრავმების კომპენსაცია; 2. სიღარიბის აღმოფხვრა და შესაბამისი სოციალური დაცვის სისტემა; 3. ღირსეული დასაქმება და შრომითი უფლებების დაცვა; 4. ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლება. [6]

შრომითი უფლებების შესახებ მსჯელობისას პროგრამა აქცენტს აკეთებს კაცისა და ქალის თანაბარი ანაზღაურების მნიშვნელობაზე. ამასთან, ითვალისწინებს მინიმალური ხელფასის განსაზღვრას საათში 5 ლარის ოდენობით, რაც საშუალოდ თვეში 950 ლარს შეადგენს. პროგრამა ასევე მიზნად ისახავს მშობლის მიერ ორსულობის, მშობიარობის, ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებით სარგებლობის დარეგულირებას, რათა გათანაბრდეს საჯარო სამსახურის კანონითა და შრომის კოდექსით გათვალისწინებული სოციალური გარანტიები. პროგრამის მიხედვით, დეკრეტული შვებულება ერთჯერადად 2000 ლარიან კომპენსაციას ითვალისწინებს, ხოლო შემდეგი 6 თვის განამვლობაში, მინიმალური ხელფასის შესაბამისად, 950 ლარს თვეში. რეფორმის შემდგომ ეტაპზე ეს პირობები გავრცელდება ერთ წლამდე პერიოდის განმავლობაში და შეეხება ორივე მშობელს. [7]

განათლების საკითხებთან დაკავშირებით აღსანიშნავია პედაგოგებისა და სასწავლო დაწესებულებების პერსონალის ხელფასების ზრდის სამართლიანი და პროგნოზირებადი სისტემის შექმნა, რომელიც გაითვალისწინებს სტაჟს და დამსახურებებს. ხელფასების ზრდა უნდა განხორციელდეს ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში. პროგრამის მიხედვით, პედაგოგები უნდა გათავისუფლდნენ

[5] პარტია „გახარია საქართველოსთვის“. (2024). საარჩევნო პროგრამა „ღირსეული ცხოვრების მანიფესტი“ (გვ. 24).
[6] იგივე, (გვ. 13).
[7] იგივე, (გვ. 18).

სხვა დამატებითი არასაჭირო ფუნქციებისაგან, რომელიც არ არის დაკავშირებული პედაგოგიურ საქმიანობასთან.

პროგრამაში ცალკე ქვეთავი ეთმობა ადამიანების გაძლიერებაზე ორიენტირებულ სოციალურ დაცვას, მათ შორის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია უსახლკარობასთან ბრძოლა და პრევენცია. ამასთან, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მხარდაჭერას, კერძოდ: შშმ პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციას, შშმ პირთა ჩართულობას, სახელმწიფო პანსიონატების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და შშმ პირების საზოგადოებაში ინკლუზიას. [8]

ჯანდაცვის საკითხების განხილვისას პროგრამა აქცენტს აკეთებს მაღალი ხარისხის და უსაფრთხო მედიკამენტებზე და მედიკამენტებზე ფასწარმოქმნის სისტემის გაუმჯობესებაზე, მონოპოლიებისა და ,,კარტელური'' შეთანხმებების წინააღმდეგ ბრძოლით. [9] პროგრამა ითვალისწინებს ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობას აფხაზეთსა და ოსეთში მცხოვრები ქალებისათვის. [10]

პროგრამას აქვს ცალკე ქვეთავი სპორტის პოლიტიკის ხედვაზე, სადაც გამოყოფილია სპორტში ქალთა ჩართულობის გაზრდის მნიშვნელობა და სპორტულ აქტივობებში გენდერული ბალანსის გაუმჯობესება. [11]

## კოალიცია „ძლიერი საქართველო“ - 2024 წლის საარჩევნო პროგრამა „ილიას გზით, მარშალის გეგმით“: გენდერული ანალიზი

საარჩევნო პროგრამა ,,მარშალის გეგმა'' მიზნად ისახავს საქართველოს ეკონომიკის სწრაფ ზრდას, რუსეთისგან დაცვას და სწრაფ ევროინტეგრაციას. აღნიშნული დოკუმენტი სამ მთავარ დაპირებას იძლევა: 1. ევროკავშირის წევრობა და ევროპული მომავალი; 2. 200 000 სამუშაო ადგილი და შრომის სამართლიანი ანაზღაურება; 3. 1000 ლარიანი პენსია. [12]

---

[8] პარტია „გახარია საქართველოსთვის“. (2024). საარჩევნო პროგრამა „ღირსეული ცხოვრების მანიფესტი“ (გვ. 15).
[9] იგივე, (გვ. 16).
[10] იგივე, (გვ. 27).
[11] იგივე, (გვ. 29).
[12] კოალიცია „ძლიერი საქართველო“. (2024). საარჩევნო პროგრამა „ილიას გზით, მარშალის გეგმით“ (გვ. 3-4)

პროგრამაში აღნიშნულია ,,მწვანე'' ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისი სამშენებლო ტექნოლოგიების დანერგვა, რაც გულისხმობს მეგაპროექტების განხორციელებას ადამიანის ინტერესებისა და გარემოზე მორგებული თანამედროვე ,,მწვანე'' სამშენებლო პრაქტიკების გამოყენებას, გარემოს დაცვას, ხალხის უსაფრთხოებას, სამშენებლო სტანდარტების გამკაცრებას. [13]

პარტიის პრიორიტეტია სამოქალაქო მზადყოფნის ,,Civil Preparance'' სისტემის დაგეგმვა, რომელიც უპასუხებს ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების მართვას.[14],,მწვანე'' პოლიტიკის გატარება სავალდებულო იქნება ყველა პროცესში იმისათვის, რომ საქართველო იქცეს ეკოლოგიურად უსაფრთხო პროდუქტის მწარმოებელ ქვეყანად. პროგრამის პრიორიტეტებია დაცული ტერიტორიების გაფართოება, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, ნარჩენების სწორი მართვა, წყლის, ნიადაგის, ჰაერის ხარისხისა და სისუფთავის კონტროლი. [15] პროგრამაში საუბარია მიუსაფარ ცხოველებზე, კერძოდ პოპულაციის სისტემური მართვა-გამრავლების კონტროლი და სტერილიზაციის პროგრამები, ცოფისა და სხვა საშიში დაავადებების გავრცელების პრეცენცია. [16]

პროექტის მიხედვით დადგინდება ღირსეული და სამართლიანი ანაზღაურების სტანდარტი და განისაზღვრება მინიმალური სამართლიანი ანაზღაურება დასაქმებულთათვის. სოციალურად დაუცველებისთვის უნდა ჩამოყალიბდეს სამართლიანი დახმარების სისტემა. ასევე, ჩაეშვება პროექტი ,,პირველი სამუშაო ადგილი'', რაც გულისხმობს ანაზღაურებად სტაჟირებას ყველა კურსდამთავრებულისათვის. პროექტის მიხედვით, პენსიები გაიზრდება 1000 ლარამდე და განხორციელდება ყოველწლიური ზრდა ფასების მატების მიხედვით. აღნიშნულის განხორციელებას პარტია აპირებს აზარტული თამაშების ინდუსტრიის მეტად დაბეგვრით, ბიუროკრატიული ხარჯების შემცირებითა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტის შეკვეცით. [17]

პროექტი მიზნად ისახავს შრომის ბაზრის განვითარებასა და ინოვაციების ხელშეწყობას, ამისთვის საჭირო იქნება განათლების ფუნდამენტური რეფორმა და მცირე ასაკიდან კოდირების და რობოტიკის სწავლება. [18] პარტიისთვის მნიშვნელოვანია ხარისხიან განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობა როგორც სკოლამდელ, ისე სასკოლო, უმაღლეს და პროფესიული განათლების

---

[13]იგივე, (გვ. 8)
[14]იგივე, (გვ. 21)
[15]იგივე, (გვ. 17)
[16]იგივე, (გვ. 34)
[17]იგივე, (გვ. 9-10; 23)
[18]იგივე, (გვ. 12)

საფეხურებზე. პარტია მიზნად ისახავს ევროპული სტანდარტის დამკვიდრებას, კერძოდ, გამართულ ინფრასტრუქტურას, დაფასებულ პედაგოგებს, სასკოლო კვებას და სტუდენტური საცხოვრისის უზრუნველყოფას. [19] პარტიისთვის მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო დაწესებულებებში გადამზადებული ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკების რაოდენობის ზრდა, რომლებსაც, მათ შორის, დაევალებათ ნარკომოხმარების პირველად პრევენციაზე მუშაობა. [20]

პროექტში საუბარია საოკუპაციო გამყოფ ხაზთან მცხოვრები მოსახლეობისთვის უსაფრთხო მექანიზმების შემქნაზე და საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს სავაჭრო-სამეწარმეო ურთიერთობების წახალისებაზე. [21] დევნილთა 45 ლარიანი შემწეობა უნდა გაუთანაბრდეს საარსებო მინიმუმს. ყველა დევნილი უნდა დაკმაყოფილდეს ღირსეული საცხოვრებელი ფართით. დევნილებს დაუკანონდებათ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში უძრავი ქონება. [22]

პროგრამა მიმოიხილავს ჯანდაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს: ყველა მოქალაქეს უნდა ჰყავდეს კვალიფიციური ოჯახის ექიმი, როგორც ქალაქში, ასევე სოფლად, უნდა დაინერგოს ჯანდაცვის სისტემის ადეკვატური დაფინანსების მოდელი, პრიორიტეტია სადაზღვევო კომპანიების მონაწილეობის გაძლიერება, ფარმაცევტული ბაზრის რეფორმა და დემონოპოლიზაცია. ასევე გათვალისწინებულია მედ-პერსონალის კვალიფიკაციის უწყვეტი ამაღლება, მათ შორის ექთნები, ლაბორანტები და სხვა.[23]

პროგრამაში ცალკე ქვეთავი ეთმობა ემიგრაციის საკითხს. შეიქმნება ეროვნული საინფორმაციო ბაზა და ემიგრანტებს მიეცემათ რეგისტრაციის საშუალება. მათი ხმის უფლების უზრუნველსაყოფად გაიხსნება საარჩევნო უბნები, შეიქმნება მუდმივმოქმედი საკონსულტაციო საბჭო მათი მონაწილეობით. შეღავათიანი საგადასახადო პირობები და სპეციალური იპოთეკური პროგრამები შემუშავდება ემიგრაციიდან დაბრუნებული პირებისათვის. [24] ემიგრაციაში მყოფი დევნილებისთვის გამარტივდება მოქალაქეობის აღდგენა/შენარჩუნება/მინიჭების პროცესი.

პროგრამაში საუბარია რეალური თანასწორობის მიღწევაზე კანონის წინაშე, არადომინანტური ჯგუფების უფლებების დაცვა, შშმ პირებისათვის დასაქმების ხელშეწყობა, ადაპტირებული გარემოს შექმნა და სოციალურ მოდელზე გადასვლა.

---

[19]იგივე, (გვ. 28)
[20]იგივე, (გვ. 33)
[21]იგივე, (გვ. 19)
[22]იგივე, (გვ. 24)
[23]იგივე, (გვ. 22)
[24]იგივე, (გვ. 23)

[25] პარტიას თანასწორობის მისაღწევად მნიშვნელოვნად მიაჩნია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობის გაზრდა გადაწყვეტილების მიღების და აღსრულების პროცესში და მრავალეთნიკური რელიგიურ-კულტურული მემკვიდრეობების დაცვა. [26]

ცალკე ქვეთავი ეთმობა ქალების გაძლიერებას სახელწოდებით ,,ძლიერი ქალი - ძლიერი საქართველოსთვის''. პროგრამისთვის პრიორიტეტულია ,,ქალთა სიღარიბის დაძლევა, ეკონომიკური გაძლიერებით, თანაბარი სახელფასო განაკვეთით და ანზღაურებადი დეკრეტული შვებულებით.'' პარტია უკომპრომისო ბრძოლას უცხადებს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობას. ასევე, პარტიისთვის მნიშვნელოვანია ქალთა პოლიტიკური გაძლიერება. [27]

## პარტია „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა“ - 2024 წლის საარჩევნო პროგრამა „საქართველოს ერთიანობის ხუთპუნქტიანი გეგმა“: გენდერული ანალიზი

პარტიის საარჩევნო პროგრამა მიზნად ისახავს კორუფციისაგან თავისუფალი და სოციალურად სამართლიანი ქვეყნის აშენებას, სადაც კეთილდღეობა და სიმდიდრე ერგება ყველას, სადაც ოჯახები ძლიერია და მოქალაქეები თავისუფალი არიან. ,,გზა ასეთი საქართველოსკენ ევროპის კავშირში გაწევრიანებაზე გადის''.[28] პროგრამა ითვალისწინებს 5 პრიორიტეტს: 1. ევროკავშირში გაწევრიანება; 2. შემოსავლების ზრდა - თავისუფალი მოქალაქე; 3. პენსიონერების დაცვა - ღირსეული სიბერე; 4. ძლიერი ოჯახი - ინვესტიცია მომავალ თაობაში; 5. ფასების მაფიაზე გამარჯვება.

პროგრამა გვპირდება, რომ სამართლიანი სისტემის პირობებში 2028 წლისთვის მინიმალური ხელფასი მიაღწევს 1500 ლარს, საშუალო ხელფასი კი - 3000 ლარს. პარტია გვპირდება 300 ლარიან საბაზისო დანამატს რეგიონებში მცხოვრებთათვის და დევნილთათვის.[29]

---

[25]იგივე, (გვ. 20)
[26] იგივე, (გვ. 31)
[27]იგივე, (გვ. 31)
[28] პარტია „ერთიანობა – ნაციონალური მოძრაობა“. (2024). საარჩევნო პროგრამა „საქართველოს ერთიანობის ხუთპუნქტიანი გეგმა“ (გვ. 1).
[29]იგივე, (გვ. 2).

პროგრამა ემიგრანტებს სთავაზობს ყოველ გადმორიცხულ დოლარსა თუ ევროზე 2%-ის დარიცხვას საპენსიო ანგარიშზე, რომლის გამოყენებასაც ისინი საქართველოში დაბრუნებისას შეძლებენ. ამასთან, შეიქმნება მიხეილ სააკაშვილის ერთი მილიარდი ევროს ფონდი ემიგრანტებისთვის, რათა ისინი დაბრუნდნენ საქართველოში. [30]

პარტია პენსიონერებს ჰპირდება საპენსიო ვალების ჩამოწერას არჩევნებში გამარჯვებისთანავე და პენსიის 1000 ლარამდე გაზრდის პროგრამას; ამასთან, რეცეპტით გამოწერილი მედიკამენტები უფასოდ მიეწოდებათ პენსიონერებს, რათა მათ არ მოუწიოთ არჩევანის გაკეთება ჯანმრთელობასა და შიმშილს შორის. პენსიის 200 ლარიანი ზრდა შეეხება არამხოლოდ პენსიონერებს, არამედ შშმ ბავშვებს, პირველი ჯგუფის შშმ პირებს და მეორე ჯგუფის შშმ პირებს. ომის ვეტერანების პენსია გახდება 515 ლარი. [31]

პროგრამა ითვალისწინებს ყოველთვიურ მხარდაჭერას ახალშობილზე ერთი წლის განმავლობაში (პირველ შვილზე - 500 ლარი, მეორეზე - 1000 ლარი, მესამეზე და მომდევნოზე - 1500 ლარი).[32]

პარტია პრობლემად გამოყოფს სოფელში საბავშვო ბაღების არარსებობას, რასაც მიიჩნევს დედების დასაქმების და თვითრეალიზაციის ხელისშემშლელ პირობად, ამიტომ პროგრამა ითვალისწინებს ხარისხიან სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობას. ამასთან, პარტია გვპირდება უფასო სასკოლო კვებას საჯარო სკოლებისთვის და სპორტულ და სახელოვნებო წრეებზე ვაუჩერების გაცემას ხელმოკლე ოჯახების ბავშვებისათვის. [33]

ხარისხიანი განათლების ხელშესაწყობად პარტიის აზრით მნიშვნელოვანია კვალიფიციური და მოტივირებული მასწავლებლების ყოლა. ამის მისაღწევად პროგრამა გვპირდება მასწავლებლის ხელფასის ზრდას მინიმუმ 2000 ლარამდე. ასევე, გამჭვირვალე და სანდო კრიტერიუმებზე დაყრდნობით ბინების გადაცემას დამსახურებული პედაგოგებისთვის. პარტიისთვის პრიორიტეტულია რეგიონებში უცხო ენების სწავლების გაძლიერება. [34]

პროგრამა სტუდენტებს ჰპირდება საცხოვრისზე ხელმისაწვდომობის ზრდას, კერძოდ, ყველა საუნივერსიტეტო ქალაქში სტუდენტური საცხოვრებლის აშენება,

---

[30]იგივე, (გვ. 3).
[31]იგივე.
[32]იგივე, (გვ. 4).
[33]იგივე.
[34]იგივე, (გვ. 5).

ისე რომ დაკმაყოფილდეს 10 000 სტუდენტი და ბინის ქირის ნაწილობრივ სუბსიდირებას. [35]

პარტია გვპირდება ფასების მაფიის, მონოპოლიების და საბანკო დიქტატურის დამარცხებას. მათი აზრით, აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია სასამართლო რეფორმით და ეფექტური მართლმსაჯულებით; ამ გზით, ქვეყანაში დამყარდება კონკურენტული საბაზრო ეკონომიკა, რომელიც გამორიცხავს მონოპოლიებს და უსამართლოდ მაღალ ფასებს. [36]

# პარტია „კოალიცია ცვლილებებისთვის“ -2024 წლის საარჩევნო პროგრამა „მომავალი შენია“: გენდერული ანალიზი

პროგრამა გვპირდება ევროკავშირის პასპორტს საქართველოს თითოეული მოქალაქისთვის 2030 წელს; ევროპულ განათლებას, ჯანდაცვას და სოფლის მეურნეობას; ევროპული დონის ეკონომიკას, სოციალური დაცვის პროგრამებსა და პენსიას; ევროპული ტიპის ძლიერ მუნიციპალიტეტებს. [37]

პროგრამაში ცალკე თავი ეთმობა განათლებას. თითოეულ ბავშვს ექნება საკუთარი საგანმანათლებლო დეპოზიტი - ,,ცოდნის ყულაბა''. ბაღის ასაკიდანვე ბავშვისთვის გამოიყოფა თანხა განათლებისთვის, რომლის გამოყენებასაც მშობელი შეძლებს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში და სპორტულ სახელოვნებო წრეებისთვის. სკოლამდელი განათლების წლიური თანხა განისაზღვრება 2500 ლარით, ხოლო სასკოლო თანხა - 5000 ლარით. პარტიის მოსაზრებით ამ ფულის საგანმანათლებლო სისტემაში დაბანდება გამოიწვევს მასწავლებელთათვის და აღმზრდელთათვის ხელფასების ზრდას, ახალი ბაგა-ბაღებისა და სკოლების გახსნას, საგანმანათლებლო დაწესებულებების კეთილმოწყობას, სკოლაში კვების უზრუნველყოფას. [38]

2028 წლიდან სახელმწიფო უნივერსიტეტებში განათლება სრულად დაფინანსდება. სახელმწიფო უნივერსიტეტებს ექნებათ სტუდენტური საცხოვრებლების აშენების ვალდებულება. მსოფლიოს 50 საუკეთესო

---

[35] იგივე.
[36] იგივე.
[37] პარტია „კოალიცია ცვლილებებისთვის“. (2024). საარჩევნო პროგრამა „მომავალი შენია“ (გვ. 1).

[38] იგივე, (გვ. 2-3).

უნივერსიტეტში ჩარიცხულ სტუდენტებს სწავლა სრულად დაუფინანსდებათ სახელმწიფოს მხრიდან. [39]

პარტია მიზნად ისახავს განათლების სისტემის გათავისუფლებას პოლიტიკური გავლენებისგან და მის დეცენტრალიზაციას; სკოლის დირექტორის შერჩევა სრულად დელეგირდება სკოლაზე. ჩატარდება რესურსცენტრების რეფორმა. [40]

პარტია ამომრჩეველს ჰპირდება საშემოსავლო გადასახადის 15%-მდე შემცირებას, მოგების გადასახადის 10%-მდე შემცირებას და 400 000 ლარამდე შემოსავლის დღგ-სგან გათავისუფლებას. ასევე, ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობის გაზრდას პოლიტიკური გავლენებისაგან და საბანკო სექტორში კონკურენციის გაზრდის ხელშეწყობას, რაც გამოიწვევს კრედიტის პროცენტის მკვეთრ შემცირებას. [41]

პროგრამის მიხედვით, 2028 წლისთვის უკიდურესი სიღარიბე განულდება, ხოლო აბსოლუტური სიღარიბის დონე 80%-ით შემცირდება. 4 წელიწადში 12 მილიარდამდე გაიზრდება სოციალური პროგრამების დაფინანსება, რაც მოხმარდება მოწყვლად ჯგუფებს. [42]

პროგრამის მიხედვით იგეგმება პირველადი ჯანდაცვის რგოლის სამედიცინო პერსონალის შრომითი პირობების და ანაზღაურების გაუმჯობესება. 5 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის, სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახებისთვის პედიატრის მიერ დანიშნულ მედიკამენტებს დააფინანსებს სახელმწიფო. გაფართოვდება ეროვნული სკრინინგ პროგრამა კიბოს ადრეული სტადიის დიაგნოსტირების მიზნით. იგეგმება ონკოლოგიური დაავადებების დაფინანსების ეტაპობრივი ზრდა და შინ მოვლის სერვისების განვითარება. პარტია მიზნად ისახავს კერძო დაზღვევის სისტემაზე ეტაპობრივ გადასვლას. პროგრამისთვის პრიორიტეტულია ექთნების განათლება, მათი პროფესიული პროგრამების სრული დაფინანსება და ანაზღაურებადი რეზიდენტურის შემოღება.

# დასკვნა

„გახარია საქართველოსთვის“ 2024 წლის საარჩევნო პროგრამა ერთ-ერთი ყველაზე დეტალიზებულია და გამოკვეთილად გამოხატავს გენდერული თანასწორობისადმი ერთგულებას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქალთა სოციალურ და ეკონომიკურ გაძლიერებას, რაც ასახულია როგორც ცალკე

[39] იგივე, (გვ. 3)
[40] იგივე, (გვ. 4)
[41] იგივე, (გვ. 5)
[42] იგივე.

დანართში, ასევე პროგრამის სხვადასხვა ნაწილში. პარტია აღიარებს ქალების წინაშე არსებულ სისტემურ ბარიერებს და სთავაზობს კონკრეტულ ნაბიჯებს, მათ შორის განათლებაზე, დასაქმებაზე, ანაზღაურებაზე, ძალადობის პრევენციასა და მონაწილეობაზე დაფუძნებულ მხარდაჭერას. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამა მოიცავს არა მხოლოდ დეკლარატიულ მიდგომებს, არამედ კონკრეტულ პოლიტიკურ და საკანონმდებლო ცვლილებებს, რაც საჭიროებს მონიტორინგსა და რეალურ პოლიტიკურ ნებას. ქალების გაძლიერება პარტიის ხედვაში გადამწყვეტია როგორც დემოკრატიული, ისე სოციალური სახელმწიფოს მშენებლობისთვის.

კოალიცია „ძლიერი საქართველოს“ 2024 წლის საარჩევნო პროგრამაში ქალების გაძლიერებას ცალკე ქვეთავი ეთმობა, რაც მიუთითებს გენდერული თანასწორობის აღიარებულ მნიშვნელობაზე პარტიის ხედვაში. პროგრამა ხაზს უსვამს ქალთა სიღარიბის დაძლევას ეკონომიკური გაძლიერებით, თანაბარი სახელფასო პოლიტიკითა და ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულებით. ასევე, გამოკვეთილია ქალთა პოლიტიკური მონაწილეობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვის აუცილებლობა. პარტია ძალადობის წინააღმდეგ უკომპრომისო დამოკიდებულებას გამოხატავს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალთა უფლებების დაცვისთვის. მიუხედავად იმისა, რომ გენდერული საკითხები პროგრამაში მხოლოდ ერთ თავშია მოქცეული, ეს ნაწილი კონცეპტუალურად მნიშვნელოვნად არის წარმოდგენილი და ცხადყოფს, რომ ქალთა როლი ქვეყნის განვითარების პროცესში პარტიისთვის მნიშვნელოვან პრიორიტეტად განიხილება.

პარტია „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო პროგრამა გარკვეულად ეხება სოციალურ თანასწორობას და ადამიანის კეთილდღეობას, თუმცა გენდერული პერსპექტივა მის სტრუქტურაში სისტემურად ინტეგრირებული არ არის. პროგრამა ძირითადად აქცენტს აკეთებს ეკონომიკურ ზრდაზე, სოციალური დაცვის ზომებზე და განათლებაზე, თუმცა იგი არ ასახავს გენდერული უთანასწორობის არსებობას, არც მიზნობრივად მიანიშნებს ქალების გაძლიერების ან გენდერული ბალანსის მიღწევის მექანიზმებზე. დადებითად შეიძლება შეფასდეს ისეთი ინიციატივები, როგორიცაა საბავშვო ბაღების საჭიროების აღნიშვნა ქალების დასაქმებასთან და თვითრეალიზაციასთან კავშირში, რაც გენდერული საჭიროებების გარკვეულ აღიარებას მიანიშნებს. ასევე აღსანიშნავია სოციო-ეკონომიკური მხარდაჭერის ღონისძიებები, რომლებიც გარკვეულწილად ეხება ქალებსა და ბავშვებს — მაგალითად, ახალშობილებისთვის ფინანსური დახმარება, სკოლამდელი და სასკოლო განათლების ხელმისაწვდომობა და პედაგოგებისთვის სოციალური გარანტიების გაზრდა.

პარტია „კოალიცია ცვლილებებისთვის“ საარჩევნო პროგრამა „მომავალი შენია“ გენდერულად ნეიტრალურია და არ მოიცავს გენდერულად სპეციფიკურ მიზნებს, თუმცა პროგრამის რიგი მიმართულებები პირდაპირ ან ირიბად ეხება ქალების მდგომარეობის გაუმჯობესებას. მიუხედავად ამისა, დოკუმენტში არ ჩანს გენდერული თანასწორობის ან ქალთა გაძლიერების პირდაპირი აღნიშვნა, რაც

მიუთითებს, რომ პროგრამაში გენდერული პერსპექტივა სისტემურად არ არის ინტეგრირებული.

პოზიტიურად შეიძლება შეფასდეს განათლების სისტემაში დაგეგმილი მასშტაბური ინვესტიციები, განსაკუთრებით სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა და მისი დაფინანსების ახალი მოდელი („ცოდნის ყულაბა“), რაც შესაძლოა განსაკუთრებით დადებითად აისახოს დედებზე, რომლებიც ხშირად იღებენ შვილების განათლებაზე ზრუნვის ძირითად ტვირთს. ასევე, პროგრამის სოციალური კომპონენტი — 5 წლამდე ბავშვებისთვის მედიკამენტების დაფინანსება, შინ მოვლის სერვისების განვითარება, ჯანდაცვის პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება — მნიშვნელოვანია ქალების ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობისთვის, განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა სწორედ ისინი ხშირად არიან მოვლის სექტორის წარმომადგენლები ან სარგებლობენ მსგავსი სერვისებით. მიუხედავად ამ პოზიტიური მიმართულებებისა, პროგრამა არ განიხილავს გენდერული ძალადობის, ქალთა პოლიტიკური ჩართულობის, გენდერული შრომის განაწილების ან ეკონომიკურ სირთულეებთან ბრძოლის გენდერულ სპეციფიკას. პროგრამაში არ ჩანს ზომები, რომელიც პირდაპირ მიმართულია ქალების უფლებების ან გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისკენ.

შესაბამისად, პროგრამა საჭიროებს გენდერული კომპონენტის ინტეგრირებას, რათა ის იყოს თანასწორობისთვის მართლაც მობილიზებული და პასუხისმგებელი დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტის — ქალების — საჭიროებებსა და გამოცდილებას.

გენდერული ანალიზის თვალსაზრისით, საარჩევნო პროგრამები საჭიროებს დამატებით განვითარებასა და გაღრმავებას, რათა უზრუნველყონ გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის წარმოება და რეალური თანასწორობის მიღწევა ქვეყნაში. როგორც ვხედავთ, პარტიათა უმრავლესობაში პროგრამები არ ეხება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა ქალთა პოლიტიკური და ეკონომიკური ჩართულობის გაზრდის სტრატეგიები, გენდერული ძალადობა, შშმ და მოწყვლადი ჯგუფებს მიკუთვნებული ქალების საჭიროებები და გენდერული თანასწორობის მიღწევის სტრატეგიული ხედვები.